სახელმწიფო შესყიდვის
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №79
დაფინანსების წყარო – 2022 წლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები
<u>გამარტივებული შესყიდვა</u>

ქ. თბილისი **28 თებერვალი 2022 წ.**

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებას შემდეგზე:

ხელშეკრულების დამდები მხარეები:

ერთის მხრივ: სს ,,ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი" წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის **შოთა გოგიჩაიშვილის** სახით (შემდგომში „შემსყიდველი") იურ/მის: ქ.თბილისი, გუდამაყრის შეს. #2; ფაქტ/მის: ქ.თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #16 საიდენტიფიკაციო კოდი: 212153756; მიმღები ბანკი: სს ,,თი ბი სი" ბანკი ბანკის კოდი: TBCBGE22; ანგარიშის ნომერი GE29 TB71 4413 6020 1000 01.

მეორეს მხრივ: შპს „რადი" წარმოდგენილი მისი დირექტორის **დავით ტყემალაძის** სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი''), მისამართი: ქ. თბილისი, დ. თავდადებულის ქ. №18. ტელ: 599-696-516 საიდენტიფიკაციო კოდი: 405241028, საბანკო რეკვიზიტები: ს.ს ,,საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი: BAGAGE22, ა/ნ GE61BG0000000042224200.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ტექნიკური შემოწმება, ანალიზი და საკონსულტაციო მომსახურებების შესყიდვა CPV კოდი 71600000 - **ტექნიკური შემოწმება, ანალიზი და საკონსულტაციო მომსახყრებები**;

1.1.1. „ა" კატეგორიის მომსახურე პერსონალისთვის ინდივიდუალური დოზიმეტრების გადაცემა დროებით სარგებლობაში, მათი ტექნიკური შემოწმება, ანალიზი და საკონსულტაციო მომსახურებები 1 (ერთი) თანამშრომელზე - ღირებულებით **170 (ასსამოცდაათი)** ლარი.

1.1.2. რენტგენოდიაგნოსტიკური დანადგარების კონტროლის ოქმების შედგენა (1 სტაციონარული და 1 პორტატული რენტგენი) **- ღირებულებით 610 ლარი.**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. პირველი მუხლის 1.1.1. პუნქტში მითითებული მომსახურების ღირებულება შეადგენს **170.00 (ასსამოცდაათი)** ლარს (1 თანამშრომელი - წლის განმავლობაში 4 წაკითხვა 170 ლარი,), ხოლო 1,1,2 პუნქტში მითითებული რენტგენოდიაგნოსტიკური დანადგარების კონტროლის ოქმების შედგენის ღირებულება შეადგენს **610 (ექვსასათი) ლარს.**

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **780.00 (შვიდასოთხმოცი)** ლარი.

2.3.ხელშეკრულების ფასი მოიცავს მომსახურებასთან დაკავშირებულ "მიმწოდებლის" ყველა ხარჯს, ასევე კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. მომსახურების გაწევის ადგილი ვადები და პირობები

3.1. პირველი მუხლის 1.1.1. პუნქტში მითითებული მომსახურება განხორციელდება ეტაპობრივად (სამ თვეში ერთხელ უნდა უზრუნველყოს პროფესიული გარეგანი დასხივების ინდივიდუალური დოზების ბარათების შევსება) ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო 1.1.2. პუნქტში მითითებული მომსახურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

3.2. ინდივიდუალური დოზიმეტრის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს ჯარიმის სახით გადაუხადოს თითოეულ დოზიმეტრზე 50 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, თანხის გადახდის დღეს საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად.

3.3. ხელშეკრულების შეწყვეტის ან ვადის გასვლის შემდეგ დოზიმეტრი უბრუნდება მიმწოდებელს;

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. ''მიმწოდებელი'' იღებს ვალდებულებას, რომ მომსახურების ხარისხი უპასუხებს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და დააკმაყოფილებს ''შემსყიდველის'' მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების მიღების შედეგების მიხედვით ''შემსყიდველისა'' და ''მიმწოდებლის'' საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები ადგენენ მიღება-ჩაბარების აქტს და ხელს აწერენ მას.

5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხიმგებელ პირს წარმოადგენს: დიაგნოსტიკური განყოფილების უფროსი **ასია ბორცვაძე.**

6. ანგარიშსწორების ფორმა

6.1. მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2. ''შემსყიდველი'' ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება ''მიმწოდებელთან'' ამ უკანასკნელის მიერ მომსახურების გაწევისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 სამუშაო დღისა.

6.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, ''მიმწოდებელი'' ვალდებულია წარმოუდგინოს ''შემსყიდველს'' საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. ”შემსყიდველი” ვალდებულია:

7.1.1. უზრუნველყოს მომსახურების შესაბამისი ანაზღაურების გადახდა ’’მიმწოდებლისათვის’’ წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით.

7.1.2. მომსახურების გაწევის შესახებ მხარეთა შორის დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება უნდა მოხდეს მომსახურების დასრულების დღეს.

7.1.3 წერილობითი ფორმით გონივრულ ვადებში აცნობოს ’’მიმწოდებელს’’ მომსახურების დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ.

7.1.4. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

7.2. ”შემსყიდველი” უფლებამოსილია:

7.2.1. ’’მიმწოდებლისაგან’’ მოითხოვოს მომსახურების ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობით და ვადაში მიღება.

7.2.2. ’’მიმწოდებლის’’ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7.2.3. მოსთხოვოს ”მიმწოდებელს” ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

7.3.”მიმწოდებელი” ვალდებულია:

7.3.1. დაუყოვნებლივ აცნობოს ’’შემსყიდველს’’ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ.

7.3.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3.3. ხელშეკრულებიდან გამომდინარე გადაიხადოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები.

7.4. ”მიმწოდებელი ”უფლებამოსილია:

7.4.1. ’’შემსყიდველისაგან’’ მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

7.4.2. მოსთხოვოს ’’შემსყიდველს’’ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

8. ხელშეკრულების კონტროლის პირობები

8.1. ,,შემსყიდველი” უფლებამოსილია მოახდინოს მომსახურების კონტროლი, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და ’’შემსყიდველის’’ მოთხოვნებთან.

9. უფლებების გადაცემა

9.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი უფლებები და მოვალეობები მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებით და რისკით.

10. ფასები და ხელშეკრულების გადასინჯვის შესაძლებლობები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.2. ხელშეკრულებით ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დასაშვებია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11. შეტყობინება

11.1. მხარის მიერ ნებისმიერი შეტყობინება ხელშეკრულების შესაბამისად მეორე მხარეს გაეგზავნება წერილობითი სახით, ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე.

11.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ რომელი უფრო გვიან დგება.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შეუსრულებლობის საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2. იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ფორს-მაჟორული სიტუაცია

13.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხიმგებლობისაგან დაკისრებულ მოვალეობათა ნაწილობრივ ან სრულად შუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით გამოწვეული გარემოებების შემთხვევაში.

13.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ.

13.3. მხარე არ თავისუფლდება პასუხიმგებლობისაგან, თუ კი ფორს-მაჟორული გარემოების დადგომამდე გონივრულ ვადაში შესაძლებელი იყო ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა.

14.1. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით და წესით. თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ნებისმიერი პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზიანი;

14.2. "მიმწოდებელის" მიერ ნაკისრი ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის, ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში "შემსყიდველს" უფლება აქვს დააკისროს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0.02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14.3 "შემსყიდველის" მიერ ფინანსური ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის, ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში "მიმწოდებელს" უფლება აქვს დააკისროს პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14.4 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14.5. საჯარიმო თანხის გადახდა უნდა მოხდეს ვალდებულების შეუსრულებლობის მომენტიდან არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

14.6. საჯარიმო თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.7. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად ან შეუსრულებლობის შემთხვევაში აღნიშნული ეცნობება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შემდგომი რეაგირებისათვის.

15. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

15.1. ეს ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით ან ერთ-ერთი მხარის მიერ ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში. ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტა მხარის მიერ ხდება გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების გზით, სადაც მითითებული იქნება შეწყვეტის საფუძველი. თუ პასუხი შეტყობინებაზე არ არის მიღებული 3 (სამი) დღეში (შეტყობინების გაგზავნის დღიდან ან ადრესატის მიერ შეტყობინების მიღების სავარაუდო დღიდან) მაშინ ამ ვადის დამთავრების შემდეგ ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება.

15.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა ან ბათილად ცნობა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2023 წლის 03 მარტის ჩათვლით.**

17. ხელშეკრულების დადების საფუძველი

17. ხელშეკრულების დადების საფუძველი არის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]"ქვეპუნქტი.

18. სხვა პირობები

18.1. მხარეები ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებენ, რომ აღნიშნული შესყიდვის განხორციელებაში მათი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

18.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

18.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ თუ ის შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

18.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ერთ ეგზემპლარად და ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით, რომელთაგან თითოეული მხარის ელექტრონულ ვერსიას აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

19. მხარეთა ხელმოწერა

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სს,,ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი"	შპს ,,რადი''
აღმასრულებელი დირექტორი	დირექტორი
შოთა გოგიჩაიშვილი	
INFECTIOUS DISEASES, AIDS & CLINICAL IMMUNOLOGY RESEARCH CENTER JSC Digitally signed by INFECTIOUS DISEASES, AIDS & CLINICAL IMMUNOLOGY RESEARCH CENTER JSC Date: 2022.02.28 14:27:49 +04'00'	----------
	დავით ტყემალაძე
	David Tkemaladze Digitally signed by David Tkemaladze DN: cn=David Tkemaladze, serialNumber=01025003446, o=Citizen, c=GE Date: 2022.02.28 14:43:22 +04'00'

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 28.02.2022 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე” მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ვადასტურებ, რომ **შპს „რადი“-სთან განხორციელებულ შესყიდვაში მონაწილეობა** არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ვადასტურებ:

შოთა გოგიჩაიშვილი (აღმასრულებელი დირექტორი)